△ ზემომაჩხაანელები საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით მოსავენ სამამულო ომის გმირთა ოჯახებს △ ომიდან შინმოუსვლელ 250 გმირის უკვდავსაყოფად აგებენ ობელისკს △ აწყობენ მხატვრულად გაფორმებულ სტენდს.

ნეტავ სად აქვს ბუნებას ამდენი მწვანე ფერი, გაზაფხულობით ყველაფერს რომ შემოსავს ხოლმე? — ასეთი ფიქრი ამეკვიატა დედაქალაქიდან კახეთში რომ მივდიოდი. აპრილი იყო, და ყველაფერს სიცოცხლისა და განახლების მწვანე ფერი დახდებოდა, მწვანედ ბიბინებდა გზის გაყოლებაზე ხალიჩებივით გადაფენილი მინდვრები, ნორჩ ფოთლებს კი თითქოს ახლად აეღგათ ენა და, ლაპარაკს მოწყურებულნი, საიდუმლოდ რასმე ჩურჩულებდნენ.

მომაგონდა 1945 წლის აპრილი, როცა ჩვენი ჯარები გაფფრებული ბრძოლებით მიიწევდნენ წინ ფაშიზმის ბუნაგში. ჩვენი ნაწილი მაშინ ავსტრიაში, ქალაქ სანკტპელტენის მისადგომებთან იბრძოდა.

ახლოდებოდა დიადი გამარჯვების დღე, რომელსაც მოუთმენლად ელოდა მილიონობით ადამიანი ფრონტზე და ზურგში.

მერე ამ ფიქრებს თითქოს შავი ღრუბლები გადაეფარა, გამარჯვების დღეს ველარ მოესწრნენ ჩემი მეგობრები. ისინი ვაჟკაცურად დაეცნენ ბერლინთან ბრძოლებში. გამახსენდა შემოდგომის ბნელი ღამე უკრაინაში, ნაღმების ჭუხილი და დაჭრილების საზარელი კვნესა. თვალწინ დამიდგა ბრაქით განათებული უკრაინული ქოხი და მიწის იატაკზე მწოლი უზბეკი ჯარისკაცი ისმადულინი, რომელიც ჩვენთან მოხალისედ მოვიდა თითქმის ბავშვი. ეს ლამაზი, მუდამ მოძრავი და დაუღალავი ბიჭი ყველას უყვარდა, ახლა კი იგი უძრავად იწვა მძიმედ დაჭრილი, სულთმობრძავი. დიდხანს შფოთავდა, კვნესოდა. რაც შეგვეძლო ვანუგეშებდით, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ყველაფერი ამაო იყო.... მომაკვდავმა თვალებით ვიღაცას დაუწყო ძებნა, ის „ვიღაცა" ხანნსტრუქტორი იდა ბორისის ასული ვასილიევა აღმოჩნდა.

— იდა, ძვირფასო, მოდი ჩემთან!

იდა ცქვიტად წამოხტა და მომაკვდავთან დაიჩოქა:

— რა გინდა, წყალი ხომ არა გსურს? — ეკითხებოდა იდა და თან ოფლიან შუბლს უმშრალებდა.

ისმადულინმა მორცხვად გაიღიმა და ასევე მორცხვად თქვა:

ლ. ჯამასპიშვილი

გ. ჯამასპიშვილი

რ. ჯამასპიშვილი

— თუ არ გეწყინება, მაკოცე.

ვასილიევამ თმა უკან გადაიყარა და მგრძელს აკოცა.

დიდხანს იყურა მომაკვდავმა და მერე ისევ ვასილიევას მიმართა მისუსტებული ხმით?

— შენ არ იცი, როგორი მადლობელი ვარ შენი, მე ხომ ისე ვკვდებოდი, რომ არ ვიცოდი, რა იყო ქალის კოცნა.

ვინ მოთვლის, რამდენი დაიღუპა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ეგებათ ცხოვრების ხიხარული.

არც ერთი გმირი, არც ერთი გვარი არ უნდა დავივიწყოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობდნენ უსახელო გმირები. ჩვენი მოვალეობაა არასოდეს არ დავივიწყოთ ისინი, ვისი ვაჟკაცობისა და სიცოცხლის ფასადაც არის მოპოვებული დიადი გამარჯვება, ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ მამათა გმირობა მთლიანად გადავცეთ შვილებს, შვილიშვილებს.

...აპრილის მშვენიერ დღეს მივდიოდი კახეთის შესანიშნავ სოფელ ზემო მაჩხაანში, რომელიც მაღლობიდან გადაყურებს დიდი ალაზნის წარმტაც ჭალას, შორს მოჩანს კავკასიონის მთები, რომლებიც ყოველთვის იისფერ ნისლში არიან გახვეული და იმ ჯარისკაცებს მოგვაგონებენ, ურუეკად რომ დგანან სამშობლოს დაცვის საფარაჯზე.

ბევრი გმირი, ბევრი შინმოუსვლელი პყავს საქართველოს ერთ-ერთ რაგვი სოფელს ზემო მაჩხაანს. მე მინდა ყველამ იცოდეს მათ შესახებ. ხალხის ხსოვნიდან არასოდეს არ უნდა გაქრეს მათი სახელი.

...წნორში ზემო მაჩხაანის გზა ვიკითხე, გზაჯვარედინზე მდგარმა ლამაზი სახის ყმაწვილმა მითხრა, ზემო მაჩხაანი ჩემი სოფელია და მე თვითონ მიგაცილებთო. შევუდექით ბოდბისხევის ადმართებს, ჩვენს თანამგზავრს, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვაჟა დვინოაშვილს შევეკითხე:

— ხომ არ იცი ის ოჯახები, რომლებიდანაც ომში ბევრი ვაჟკაცი წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ვაჟა ჩაფიქრდა:

— არა, არ ვიცი.

ახალგაზრდის პასუხმა გული დამწყვიტა. თავისი სოფლის გმირებს როგორ არ უნდა იცნობდეს-მეთქი. თუმცა რას ვერჩოდი. ის ხომ საამამულო ომს არ მოსწრებია, ასაკით მხოლოდ თექვსმეტი წლისაა.

მდიდარი და კულტურული სოფელია ზემო მაჩხაანი, საქართველოში სახელი გაითქვა აქაურმა კოლმეურნეობამ, რომელსაც ნიჭიერი ორგანიზატორი ნიკო მამაიაშვილი ხელმძღვანელობს, ბევრ ქალაქს შეშურდება აქაური კულტურის სახლი და ცხოვრების ბევრი სხვა სიკეთე.

„ძია ნიკო", როგორც აქ მამაიაშვილს ეძახიან, ადგილზე არ იყო. გადადებული საქმისათვის თბილისში წასულიყო. კულტურის სახლის დირექტორმა იოსებ გოგაშვილმა, პარტიიურის მდივანმა ბაიდო ჯანაშვილმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ გივი ბიკაშვილმა მიამბეს, როგორ ემზადებიან გერმანიის ფაშიზმზე დიადი გამარჯვების ოცი წლისთავისათვის. ამ ადამიანებს დიდი გულითადობით და მონდომებით მოუგიოგვებიათ **იმ ორასორმოცდაათი ვაჟკაცის ფოტოსურათები, რომლებიც საამამულო ომის ფრონტიდან არ დაბრუნებულან. ამალე გაფორმებენ ლამაზად მოხატულ სტენდს. იგი დაფარავს კულტსახლის ერთ დიდ კედელს. გამარჯვების დღეს სოფელში მოეწყობა დიდი ზეიმი. ომის გმირებს მიეძღვნება კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის სამი ნომერი.**

ეკონომოვნებათ, ადგილობრივი საშუალო სკოლის პიონერთა ნამუშევარს რომ ნახავთ **სკოლაში მოწყობილია საბრძოლო დიდების კუთხე,** ბრის კარგად გაფორმებული, ფოტოსტენდი „შინმოუსვლელნი". ხშირად ეწყობა შეხვედრები საამამულო ომის მონაწილეებთან. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნათელა ბოსტოღანაშვილმა გვიჩვენა მოსწავლეთა მიერ შეკრებილი საინტერესო მასალები, რომლებიც ზემომაჩხაანელი და მირზაანელი გმირების სახელს უკვდავყოფენ.

— გვაქვს კიდევ ერთი ფიქრი, — თქვა პარტიიუროს მდივანმა, — **გვინდა სოფლის ცენტრში აღვმართოთ ბრონზის ობელისკი, რომელზეც ამოიკვეთება ჩვენი გმირების სახელები, ვფიქრობთ ამ სურვილს ახლო მომავალში განახორციელებთ, საბირო იქნება არქიტექტორის მოწვევა.**

იოსებ გოგაშვილი და მე ჯამასპიშვილების ოჯახში წავედით. ამ ოჯახის ხუთი ვაჟკაცი იბრძოდა საამამულო ომში. სანამ იქ მივიდოდით, იოსებმა მიამბო, რომ თვითონაც ომის მონაწილეა, ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნებული და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ. რითაც შეეძლო, ეხმარებოდა ფრონტელების ოჯახებს. **ტასო ცაკაშვილის სამი ბიჭი ომში გაიწვიეს, მათს დედას კი ჭერი თავზე ენგრეოდა. გამოვიდა მთელი სოფელი და ახალი სახლი აუშენეს.** ომში დაღუპულთა ოჯახებს ახლაც ეხმარება კოლმეურნეობა.

...ეზოში მოხუცი ქალი გამოგვეგება, იგი ვარო ჯამასპიშვილი აღმოჩნდა, ხუთი ვაჟკაცის დედა, რომლებიც საამამულო ომში იცავდნენ იარაღით ხელში. მათ გახსენებაზე დედას ცრემლები სდის. დიდხანს ვაწყნარებთ მას. დედა გვიამბობს, რომ ჯერ კიდევ ადრე, სანამ გერმანია დაგვეხსნოდა თავს, ჯარში გაიცალა შუათანა შვილი გიგლა.

საამამულო ომი რომ დაიწყო, ერთბაშად ორი შვილი — გორგა და ლელა გაიწვიეს. ვარო თვითონ გაიცალა ისინი წნორის სადგურში, თავი შეიკავა და შვილებს ცრემლი არ აჩვენა. მერე კი ეშალონი რომ დაიძრა და იმ ბიჭებმა მისი გული თან გაიყოლეს, დაადგა სოფლის შედმართზე და გული მაშინ იჯერა ტირილით, აღარც ქრისტო და რამანა დარჩენენ სახლში, ისინიც შორეთში გაისტუმრეს საბრძოლველად. დარჩენენ მშობლები ვარო და ვასო მათს ჭირვარამს იყოფდნენ რძლებიც.

მშობლების უფრამდე მიაღწია ამბავმა, რომ გორგა და ლელა ერთად, ფრონტის ერთ უბანზე იბრძოდნენ. გორგა დაჭრილა და ლელას გადაურჩენია, საკუთარი ზურგით მიუყვანია ჭრილობეებთან და უკან რომ დაბრუნებულა, სწორედ მაშინ დაღუპულა. გორგაიწერებოდა: — ჩემი გული მოკვდა, როცა ეს ამბავი გავიგე, იმან მე მიმშველა და მე კი იქ აღარ ვიყავი, რომ მეც მეშველა. დაჭრილი სულ იმას იძახოდა. სადახარ, ძმაო, რატომ არ მეხმარებიო. ჰოსპიტალში ჩვენი ასეულის ბიჭი მოვიდა და ამბავი მითხრა ლელას ამბავი, მე დავმარხეო. თურმე მარცხენა მხარში მოხვედრია ყუმბარის ნამსხვრევი... იმის მერე აღარ ვარგავარ, საით წავალ არ ვიცი. რაც მომივა, მომივა, წავალ, ვიბრძოლებ უკანასკნელ სიბნელის წვეთამდე, ახლა უკვე აღარ მეშინია, სადაც წვრილია იქ გაწყდეს...

არც გორგას ეწერა საამშობლოში დაბრუნება. ისიც ნაღმებისა და ყუმბარებისაგან გადათხრილ-დამწვარ მიწაში დარჩა საუდამოდ.

აღარც რამან ჯამასპიშვილს ელირსა თავისი სოფლისა და ალაზნის თვალუწვდენელი ველების ხილვა.

ხუთი ძმიდან მხოლოდ ორი დაუბრუნდა მამაპაპის კერას. აი რა მსხვერპლი გაიღო ჩვეულებრივი ქართველი გლეხის ოჯახმა ჩვენი გამარჯვებისათვის.

სიმონ ნატროშვილის ოჯახმა ხუთი ვაჟკაცი გაიტანა საამამულო ომში, დაბრუნდა მხოლოდ ორი ძმა. ასეთი ოჯახები აქ ბევრია.

ბ. ბოსტაშვილი.

ე. ბოსტაშვილი.

გ. მარტყოფლიშვილი.

გ. მარტყოფლიშვილი.



ი. მარტყოფლიშვილი.

გინა შეიძლება ამის დავიწყება?

...ბოხუცი დედაკაცს დამკვნარი ხელებით ჩვენი უკრავს, ბავშვი ტირის, ბებია კი დაყვავებით იმეორებს:

— სუ, ჩემო გოგო, ბებიას სიხარულო!

ეს მოხუცი ქალი სამი ძმის მარტყოფლიშვილების დედაა, რომელიც ახლაც იმედით გასცქერის შარაგზას, იქნებ ჩემი ბიჭები გამოჩნდნენო.

ოც წელიწადზე მეტია დედის თვალში ცრემლი არ გამშრალა, ოცი წელიწადია ამ სახლის ჭიშკარი არ იკეტება, — იქნებ ან ილო მოვიდეს, ან ვასილი, ან იქნებ გიგომ შემოაღოს კარიო.

— როგორ ბრძანდებით, როგორ გეხმარებათ კოლმეურნეობა? — შეეკითხენი დედაც სონას.

— დახმარება კი არა, შვილები მინდა, — ნაღვლიანად თქვა სონამ, — სამი მყავდა და სამივე დაკარგე, ამ ქვეყანაზე ეგრე დავლასლასებე, თორემ გული კი არა მაქვს.

გიგოს ქვრივმა ელიკომ თავისი მეუღლისა და მაზლების წერილები გამოიტანა, რამდენი ადამიანური გრძნობა და ფიქრია დროისაგან გაცრეცილ ამ ყვითელ ფურცლებში, ვინ იცის, გიგანტური ფრონტის რომელ უბანზე, რომელ სანგარში თუ მიწურშია დაწერილი ისინი, მე ვუნოსავ ამ სამკუთხა წერილებს და ცხვირში მცემს წეკოსა და ჯარისკაცის ოფლის ნაცნობი სუნი.

ვახილი ომის დაწყებიდანვე დაკარგულა. ეტყობა, სადმე საზღვარზე მოუსწრო ომის ქარიშხალმა, მისი უკანასკნელი ბარათი დათარიღებულია ათას ცხრაას ორმოცდა ერთი წლის თვრამეტი მაისით. ჯარში წასვლიდან სამი თვის შემდეგ მიიღეს უმცროსი ძმის ილოს უკანასკნელი წერილიც, ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოცდაერთ დეკემბერს შეწყდა გიგოს ბარათები.

მადალი სულის ადამიანებით, შესანიშნავი ვაჟკაცებით ამაყობს მთელი სოფელი, ადგილობრივ სკოლაში მიჩვენეს სამამულო ომის გმირის ბიძინა გიორგის-ძე ბოსტაშვილის წერილის პირი, რომელიც მას ფრონტიდან დედისათვის მოუწერია.

— წერილების დაგვიანებაზე რასაზე დარდობ, ჩემო დედა, შენი ხერვიული იყო გმირები დავზღვილიყავით, აბა, რატომ შეგვარქვი სახელები — შალვა, ელიზბარ, ბიძინა. ჩვენ გვინდა შენი ჩანაფიქრი შევასრულოთ, შეტევაზე ისე მივდივარ, როგორც ქორწილში. უკან კი შენი ძახილი მესმის, „მგმერს ზურგი არ უჩვენო, მამაპაპის სახელი არ შეარცხვინო".

მე რომ შემეძლოს ამ სიტყვებს, რომლებიც ჩვენი ხალხის მაღალ მორალურ თვისებებზე ლაღადებს, ოქროს ასოებით მარმარილოზე ამოვკვეთავდი და თვალსაჩინო ადგილზე ავდგამართავდი.

ბიძინამ და მისმა ძმამ ელიზბარმა ვაჟკაცურად შეასრულეს თავიანთი პირობა, ისინი გმირულად დაეცნენ ბრძოლებში და ახლა სადღაც, საძმო საფლავში სძინავთ საუკუნო ძილით.

თვალები მისველდება, როცა დედის გოდებას ვისმენ, მაგრამ ვულაპავ ცრემლებს და ვიღიმენი, იმიტომ რომ ამ ქვეყნად ვერასოდეს ვერ გიმარჯვებს სიკვდილი. დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის მიერ გაღებულ მსხვერპლს ფუჭად არ ჩაუვლია. განადგურდა კაცობრობის ყველაზე საშინელი მტერი — გერმანიის ფაშიზმი.

...მოვდიოდი უკან და კვლავ ვფიქრობდი, სად არის ბუნებაში ამდენი მწვანე ფერი, მიხაროდა, რომ ვარო ჯამასპიშვილის ოჯახში თერმეტი შვილიშვილი და ამდენივე შვილიშვილის შვილია, რომ სონა მარტყოფლიშვილსაც ხელში ჩვილი უჭირავს და სიყვარულით ეალერსება. მას, რომ ჩემი ქვეყნის მთასა და ბარში გაზაფხული ზეიმობს და ყოველივე ამაში, ხალხის ბედნიერებასა და ბუნების განახლებაში, ჩვენი გმირების — შინმოსულთა და შინმოუსველელთა წვლილსა და სუნთქვას ვგრძნობდი.

ა. თომაძე.

ზემო მაჩხაანი,
წითელწყაროს რაიონი.

დაღუპულ გმირთა პატივსაცემად

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში მრავალი მეჯვრისხვეული იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ მეომართა საგრძნობი ნაწილი ვერ მოესწრო მტერზე სახელოვან გამარჯვებას და სხვადასხვა ქვეყნებში ჰპოვა სამარე.

მეჯვრისხვეულმა მშრომელებმა ანასტასია ერისთავ-ხომტარიას სახელობის მუზეუმში მოაწყეს სამამულო ომის მეჯვრისხვეულ გმირთა სტენდი, რომელზედაც ფართად არის ასახული საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ბორის ზუმბულიძის, პოდპოლკოვნიკ ილია ალბაზაშვილის, ლეიტენანტ შალვა სარაულის, ზემდეგ ფირან გოგიაშვილის, უფროს ზემდეგ გაიოზ ლოლაძის და სხვა შინმოუსვლელთა საბრძოლო ბიოგრაფია.

დიდი სამამულო ომის დამთავრების ოცი წლისთავისათვის მზადების დღეებში ამ სტენდთან ხშირად იკრიბება სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც დიდი ინტერესით ეცნობა თანასოფლელი მეომრების ცხოვრების გზას, მათი გმირობისა და მამაცობის ამბებს.

ვ. გოგიაშვილი,

პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

არ არის მკვდარი,
ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს
დღენია...
ილია.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდი სამამულო ომის დამთავრების, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს.

მათ ხსოვნას ეძღვნება

საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სკოლებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები სამამულო ომზე, მის გმირებზე. ეწყობა აგრეთვე შეხვედრები ომის მონაწილეებთან.

ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის გმირები ს. კეთილაძე და ა. ბიბილაშვილი, გამოფენილია გმირთა ფოტოსურათები. აქვეა სტენდი იმ ზესტაფონელი მებრძოლებისა, რომლებიც გმირულად დაეცნენ ბრძოლებში სამშობლოს თავისუფლებისათვის.

საკალაქო ბიბლიოთეკაში, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი თ. ბუაჩიძე განაგებს, მოეწყო ფოტოსტენდი, ლიტერატურის გამოფენა, რომელიც ეძღვნება დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნას.

ასე უკვდავყოფენ გმირებს ქვემო ერკათში

△ დიდ სამამულო ომში 80 ქვემოერკათელი წავიდა. გმირულად დაეცა 50 ვაჟკაცი △ დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად სოფელში მათი სახელოვნის კლუბი ააგეს და მის ფასადზე მოაწყეს ფოტოსტენდი.

მოვიდიოდე წლის წინათ სოფლის ცენტრში მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, მოზარდი თუ ბავშვი განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით აგებდა ერთ სახლს... ჰკონდა ამას თავისი მიზეზი. კლუბის შენობა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა სახელობაზე იგებოდა... იგი მათი ხსოვნის უკვდავყოფის ძეგლად უნდა აღმართულიყო.

დამთავრდა სახლი, და მისი ფასადი დაამშვენა ორმოცდაათი მებრძოლი ვაჟკაცის, თანასოფელის, ორმოცდაათი ძმის მარმარილოს კეთილშობილ ქვაში გაკოცხლებულმა სახეებმა...

ეს შინმოუსველელთა სტენდია, ომში დაღუპულთა ძეგლია, მარადიული ფოტობარელდებაა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ... ხშირად ნახავთ მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქუდმოხდილი რომ დგას ამ სტენდთან, შავებით მოსილი თვალცრემლიან დედებს, რომლების გულში დარჩა, ამ ყოველისმძლე მკრნალსაც კი, ვერ გაუნელებია შინ მოუსველელი შვილების დარდი, ბავშვებს თავგანწირით ხელში, რომ პატივი სცენ ამ უსახელო გმირებს...

„დიდება თქვენ, ქვემოერკეთელო მებრძოლებო, რომლებმაც 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში თქვა შეასწირეთ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის საქმეს". წაიკითხავთ ოქროს ასოებით ამოკვეთილ ამ სიტყვებს, გადახედავთ სურათებს და ერთხელ კიდევ შეეთვლით წყვეტა-ტრუდვას ლაშქრ მკელვებს, ვინც ისინი ასე უდროოდ გამოასალმა ამ ქვეყანას, ამ სოფელს.

ახლა ძალიან ლამაზია სოფელი, აფეთქებულა კერტები, სხვადასხვაგვარად ჰყავიან ხეხილი, ცოტა ხანში შეიფოთლება მცენარეები, იშრიალებენ ალვის ხეები და კვიპაროსები... ეს ადგილი ბაღნარს დაემსგავსება. ასე იყო შარშან, ასე იქნება გაისადაც, ხუთი, ათი წლის შემდეგ, მაგრამ ამას ვეღარასოდეს ვეღარ იხილავენ **ეკატერინე, ბიძინა,** სერგეიანან **ჯაბაპარიძეები, გერონტი,** ეტიფო **მინდაძეები, შალვა,** სერაპიონ **პლატონის-ძე,** სერაპიონ **სარდიონის-ძე, მიხეილ ტყეშეშები, კარლო,** გივი, **კირილე,** ივანე, **დავით ონოფრე,** ვაბრიელ, **მელიტონ,** პარმენ, **აკაკი,** მიტო, **იური,** ვიქტორ **კობიძეები,** შამია, **აკაკი,** დავით, **სერაპიონ,** სერგო, **მიხეილ,** ვარლამ, **სანდრო,** პორფილე, **გრიგოლ გიორგაძეები, მიხეილ,** შოთა, **ქიშვარდი ჭიხვარიები, გრიგოლ კოტრიკაძე,** თეოფილე **მიქელაძე,** მიხეილ **ბოლქვაძე, ჭიკიკო ჯიკია,** კარლო, **მილორსი გორდელაძეები,** ეორა **კალანდაძე,** ვახტანგ **მიქაშავიძე,** ტიტიკო, **ვალიკო, გიორგი, ბიჭიკო ბერიძეები, მიხეილ ბერაძე, კოსტა მგალობლიშვილი,** ნესტორ **ხიზანიშვილი...** ისინი ბუნების ამ ზეიმს მხოლოდ მარმარილოს ციცი ქვიდან შეხედავენ... და ეს უბედურება მათ და მთელ კაცობრიობას ფაშიზმმა მოუტანა.

ეს სტენდი მოგვითხრობს, რომ ამ სოფლის 7 ოჯახს ორ-ორი შვილი არ დაბრუნებია შინ, რომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირულად დაეცნენ ძმები სერაპიონ და მიხეილ ტუღუშები, კარლო და გივი კობიძეები, მიხეილ და შოთა ჭიხვარიები, შალვა და სერაპიონ ტყეშეშები, გერონტი და ეტიფო მინდაძეები, კირილე და ივანე კობიძეები, შამია და აკაკი გიორგაძეები.

— ეს სტენდი ჩვენ ომში დაღუპულთა შინმოუსველელთა ხსოვნას მივუძღვენით, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის მონაწილე **პიმენ უჯმაჯურიძე,** — ფრონტზე, იმ ანელებლობის დროს, როცა სიკვდილი ფეხდაფეხ დაგვდევდა, თვალდათვალ ჩანდა, აღვთქვი ჩემს გვერდით დაღუპულ მეგობრებს, რომ თუ ოდესმე დავბრუნდებოდი, აუცილებლად ეფიდებოდი რითიმე უკვდავყოფა მათი სახელი. ბიჭები ყველანი იყვნენ ამის ღირსი... როცა ამ სტენდის მოწყობის წინადადება წამოვაყენეთ, მთელმა სოფელმა დაგვიჭირა მხარი, ხელი შეგვიწყეს. მართალია, სიძნელეებიც შეგვხვდა, მაგრამ დავძლიეთ, და აი ცოტა რაღაც გავაკეთეთ. კლუბს ომში დაღუპულთა სახელი ვუწოდეთ და დარბაზში წინ მათ სახელებ 50 სკამი გამოვყავით. ამ სკამებზე დასხდებიან მათი შვილები, ისინი, ვინც აქ მათ წმიდა საქმეს განაგრძობენ.

ამ პატარა სოფელმა, რომელშიც მაშინ მხოლოდ 129 კომლი იყო, დიდ სამამულო ომში 80 ვაჟკაცი გაგზავნა, 50 ვერ მოესწრო გამარჯვების ბედნიერებას, ვერ დაბრუნდა შინ...

ამ სტენდზე თქვენ ხედავთ ჩვენს თანასოფელეს ეტეროფი უჯმაჯურიძეს. იგი პედაგოგი იყო, ერკეთის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა ყველაზე ჰუმანურ და კეთილშობილურ საქმეს — ბავშვების აღზრდას... თითქმის ომის დასასრულს დაიღუპა... პედაგოგები იყვნენ პარმენ კობიძე, კარლო კობიძე. გივი კობიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ჯერ საკალდებულო სამხედრო სამსახურში გიწვიეს. ომმა მოუსწრო და ვეღარ დაბრუნდა. სოფელს გამოაკლდნენ მოწინავე კოლმეურნეები მიხეილ ბერაძე, დავით გიორგაძე, მელიტონ კობიძე, გრიგოლ გიორგაძე და ბევრი სხვა.

გაკვთდა სტენდი, და მასთან პირველი მივიდა კოლმეურნე ქალი ეოფონა კობიძე. მისი გაზრდილი შვილიშვილი აკაკი ბებიას უცინოდა. ქალმა ხელები აღაპყრო, ქვითინით მუხლებზე დაეცა და წამოიძახა: ახლა ხომ მაინც ცოცხალი ხარ, შვილო!

— ერთხელ ჩემთან, — იგონებს პ. უჯმაჯურიძე, — ძალიან შეწუხებული მოხუცი კაცი მოვიდა. იგი ლუკა კობიძე იყო. ლუკა ომის დროს ფოსტალიონად მუშაობდა. — ასე მგონია,— თვალით მიმახიშნა სტენდზე,—ჩემი დანაშაულია ამათი სიკვდილი, თითქოს მე მოვუტანე ეს უბედურება ჩემს მეზობლებს, მე მომქონდა ოჯახებში სამკუთხა ჯარისკაცული წერილები, ზოგჯერ სამწუხარო ამბებით ვიყავი ასეთი უბედურების მაცნე. ამისათვის ალბათ ეძულდი ჩემს მეზობლებს.

— თქვენი რა ბრალია, ბიძია ლუკა, თქვენი მოვალეობა წერილების ტარება იყო, სიხარულიც ხომ ხშირად შეგკონდა ოჯახებში-მეთქი, ვეტყოდი ხანდახან. მაშინ თვალცრემლიანი შემომხედავდა და ისევ დახრიდა თავს. ამ მოხუცს ფიდი დარდი ჩაპყვა მიწაში...

ბევრი, ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავს შინმოუსველელ ვაჟკაცებს. მოდიან მეზობელი სოფლების მშრომელები, რათა ხახონ, როგორ უკვდავყვეს ქვემოერკეთელებმა თანასოფელეთ ძმები, მოდიან ამ უსახელო გმირების ოჯახის წევრები, დედები... დედები, რომლებსაც ამ ოცი წლის მანძილზე ომში წასულების ამაო ლოდინით შავი მანდილს ქვეშ თვალებზე ცრემლები არ შეშრობიათ, გულები კი დაჭფერფლიათ, დედები, რომლებსაც თავიანთი თვალით არ უნახავთ შვილების უბედურება და არც სურთ, რომ ისინი აღარ დაუბრუნდებიან, ელოდებიან შინმოუსველელ შვილებს... აბა ვინ ეცდება დააჯეროს დედა, რომ შვილი არ დაუბრუნდება, ვინ დაარწმუნებს დედის გულს, რომ ეს სამდვილია... რაღა დაკარგული და რაღა შინ მოუსველელიო, — ამბობს ხალხური სიბრძნე... ალა, დარჩეთ დედებს გულში ადგილი ეჭვისათვის...

შინმოუსველელთა სტენდთან ხშირად ხედავენ დროულ კოლმეურნე ქალს ქეთევან კობიძეს, რომლის ერთადერთი შვილი სერგო აქ, ამ სტენდიდან უცინის დედას და ანუგეშებს.

აი დედა, სონია მინდაძე, მოწინავე კოლმეურნე, რომლის მარჯვენას ქერიგობასა და მარტოხელობაში დაუზრდია არწივივით ბიჭები. მე ყველაზე მეტად გამწარა ბუნებამ, — გვეუბნება იგი, — ჩემი სამი შვილი იბრძოდა დიდ სამამულო ომში, ორი — გერონტი და ეტიფო — იქ დამეღუპნენ, ერთი დაბრუნდა, მაგრამ ბედმა მიმეხეთლა და აქ დამარცხდა, ავარიაში მოყვა... დღეს ჩემი შვილები თითქოს გამიცოცხლდნენ, ისინიც გამოსდგომია ქვეყანას, საშმობლოს...

— თითქოს შვილები არ დამღუპვია,— გვეუბნება ამ სოფლის ამაგდარი ადამიანი 85 წლის ქალი ეკა კობიძე,—ჩემი შვილის ამაგი, თაგგანწირვა ასე დაფასა სოფელმა, ასე მგონია. მიტო ცოცხალი ყოფილ, და ხშირად მოვდივარ აქ მის სანახავად... მე სამი შვილი — ვალიკო, მიტო და პაველ — გაგზავნე საშობლოს დასაცავად, მიტო დაიღუპა, უფროსი შვილი ვალიკო დაავადმყოფებელი, ტყეიით დაცხრილული დამიბრუნდა და აქვე გამომეცალა ხელიდან, პაველ კი ინვალიდია... მადლობა სოფელს, ადამიანებს, რომ ასე უკვდავყვეს ჩვენი შვილები.

50 ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა სოფელს, მაგრამ აქ მცხოვრებ ადამიანებს არ შეუწყვეტიათ შრომა. სოფელი ღონიერია, კოლმეურნეები იღვწიან საკოლმეურნეო მინდვრებზე და აღწევენ ახალ-ახალ წარმატებებს, გასულ წელს საკოლმეურნეო შემოსავალმა 200.000 მანეთს მიაღწია, ძირითადად იგი ჩაის კულტურამ მისცა მათ, ერთ კაცდღეზე 2 მანეთი და 70 კაპიკი გახდილდა ფულად, 73 კოლმეურნე იღებს პენსიას.

ამ დღეებში სოფელს საპატიო სტუმრები ეწვივნენ. ესენი იყვნენ ღვაწლმოსილი, სახელოვანი ქართველი მებრძოლები და ახალგაზრდა ფიზიკოსები, ოთარიგის გენერალები და ოფიცრები, რომელთა საკმაო საქმეები ცხობილია. შინმოუსველელთა სტენდთან მდგომელად დახარეს თავი გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ თავართქილაძემ, გენერალ-მაიორმა საბჭოთა კავშირის გმირმა ერმალოზ კობერიძემ, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ კალაძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა დავით ბაკრაძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა პოლკოვნიკმა პლატონ წიქარიძემ და ამ სოფლის მკვიდრმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე ბერიძემ.

— ...ერთ რამეს ვთხოვ იმათ, ვინც ამ დროებას გადაურჩება, — წერდა სიკვდილის წინ დიდი ჩეხი პატრიოტი ი. ფუჩიკი, — ნუ დავივწყებთ იმას, რაც იყო... მინდა ყველამ იცოდეს, რომ არ ყოფილან უსახელო გმირები, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სახელი, თავიანთი სახე, თავიანთი მისწრაფებანი და იმედები ჰქონდათ...

ეს მოწოდება პირნათლად შეასრულეს ზემო გურიის ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფლის ქვემო ერკეთის (ჩოხატაურის რაიონი) მშრომელებმა. არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს თუნდაც ერთი ეპიზოდი იმიდან, რაც ჩვენს ბედნიერებას დაედო მსხვერპლად.

ისინი, ეს გმირები, როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალი მილიონები, დაიხოცნენ ჩვენი ბედნიერებისათვის, მაგრამ არ დავიწყებიათ თანასოფელებს.

გმირები არ კვდებიან.

ე. მამალაძე.



სურათზე: საერთო ხედი დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა სახელობის კლუბისა, რომლის წინა ფასადზე მოწყობილია ფოტოსტენდი.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.

სკოლა გმირის სახელოგისა

ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი ხანია დამთავრდა ომი, და იმათ, ვინც ბრძოლით მოგვიპოვა გამარჯვება ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყოველ კოლმეურ

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲚ. ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მხცოვან მეცნიერს, ახალგაზრდობის მოამაგეს და მეგობარს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ალექსანდრე არჩილის-ძე კვალიაშვილს დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი უსრულდება.

პროფესორი ალ. კვალიაშვილი ეკუთვნის ქართველ ექიმთა იმ რიცხვს, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავისი უანგარო, დაუღალავი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანეს მედიცინის განვითარებაში. მისი ღვაწლი ერთობ დიდია საქართველოში რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. იგი ფართოდ ცნობილია ამ დარგში.

ალექსანდრე არჩილის-ძე კვალიაშვილი დაიბადა ყოფილი გორის მაზრის სოფელ მოხაში, რკინიგზელის ოჯახში. ᲒᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ დამთავრების შემდეგ იგი შედის ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1920 წელს.

სამშობლოში დაბრუნებული, იწყებს მუშაობას ყოფილი თელავის მაზრის სოფელ შილდაში, ხოლო 1922 წელს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ, საავადმყოფოში, სადაც დღემდე, ე. ი. 43 წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ მოღვაწეობს. იგი ამ დაწესებულებაში დახელოვნდა როგორც კლინიკისტი, რენტგენოლოგი და გაიარა მეცნიერ მუშაკის ჩამოყალიბებისათვის საჭიროებული ყველა საფეხური. იგი სამეცნიერო მუშაობისათვის მიგლინებული იყო როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ბევრ დიდ ქალაქში.

ალ. კვალიაშვილის ინიციატივით და უშუალო მოხაზულობით 1933 წელს პოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში გაიხსნა რენტგენის კაბინეტი, სადაც საშუშაოდ გადავიდა და, გარდა რენტგენოლოგიისა, ქირურგიაშიც მუშაობდა აკადემიკოს გრ. მუხაძის ხელმძღვანელობით. მანვე ამავე პერიოდში შეიმუშავა რენტგენოლოგიის კურსის სპეციალური პროგრამა ახალგაზრდა ქირურგთათვის და ამრიგად საფუძველი ჩაუყარა რენტგენოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სისტემატური კურსის კითხვას ჯერ ექიმთა, შემდეგ კი სტუდენტთა შორის. ბუნებრივია, რომ ასეთი ენერგიის და მონდომების მქონე ახალგაზრდა ექიმმა-ქირურგმა და რენტგენოლოგმა მიიპყრო მისი მასწავლებლის — აკადემიკოს გრ. მუხაძის ყურადღება. მალე იგი არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტად. პარალელურად 1933 წელს იგი აირჩიეს პრივატ-დოცენტად რენტგენოლოგიის დარგში.

წლების მანძილზე მიღებულმა კლინიკურმა, პედაგოგიურმა და სამეცნიერო-კვლევითმა გამოცდილებამ ალ. კვალიაშვილს საშუალება მისცა 1937 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხვა-რა სხდომაზე ბრწყინვალედ დაეცვა დისერტაციის გამგედ.



საქართველოს სხვადასხვა რაიონში გამოსვლელი პრაქტიკული და სამეცნიერო სესიები რომ ეწყობა. რენტგენოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ამის ინიციატორია პროფ. ალ. კვალიაშვილი. მანვე ამას მიაღწია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შემოიღო ე. წ. ორწლიანი დაუსწრებელი ორდინატურა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ადგილებზე მომუშავე რენტგენოლოგებს. ამ კურსებისათვის მის მიერ შედგენილია სპეციალური პროგრამა ძირითადად პრაქტიკული რენტგენოლოგიიდან და როცა რაიონის რენტგენოლოგი ამ პროგრამას ამოწურავს, შეიძლება ითქვას, რომ მისი კვალიფიკაცია თვალსაჩინოდ არის ამაღლებული და შესწევს უნარი უფრო იოლად გაართვას თავი იმ დიდ მუშაობას, რაც მას რაიონის პირობებში აკისრია.

იუბილარის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან პირველმა ქართულ ენაზე სტუდენტთა და ექიმთათვის გამოსცა რენტგენოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (მზადდება რენტგენოდიაგნოსტიკის მეორე და მესამე ნაწილები). ალ. კვალიაშვილი 55 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის აქტიურულ საკითხებზე. მათში მკითხველი მრავლად იპოვნის ახალ დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის.

დიდია ალ. კვალიაშვილის დამსახურება სამეცნიერო კადრების აღზრდისა და განსწავლის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 12 საკანდიდატო დისერტაცია. ახლა იგი ხელმძღვანელობს 2 სადოქტორო და 3 საკანდიდატო დისერტაციის მომზადებას. იგი არჩეულია მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების წევრად. ამავერთგზის იყო არჩეული თბილისის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ. 1957 წლიდან ალ. კვალიაშვილი არჩეულია საკავშირო რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრად, ხოლო 1964 წლიდან საქართველოს რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საზოგადოების საპატრო წევრად.

ალ. კვალიაშვილის ღვაწლი და დამსახურება არ დარჩენილა უყურადღებოდ. იგი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და სამი მედლით, მას მინიჭებული აქვს რეს-პუბლიკის დამსახურებული ექიმის და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები.

მხცოვანი მეცნიერი ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ხვდება თავის იუბილეს. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი მოღვაწეობა და ახალი დიდი წარმატებები ჩვენი ხალხისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

პროფესორი ᲕᲚ. ᲔᲚᲔᲜᲢᲘ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲑᲠᲔᲮᲬᲘ ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ

რეჟისორ მ. თუმანიშვილის ახალი ნამუშევარი მოსკოვის თეატრის სცენაზე

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის სცენაზე თავისი ახალი დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **მიხეილ თუმანიშვილმა.** თეატრმა მოსკოველ მაყურებლებს უჩვენა გამოჩენილი გერმანელი მწერლის **ბერტოლდ ბრეხტის** პიესა — **„რა ის ჯარისკაცი, რა ესა“.**

გაზეთ **„კომსომოლსკაია პრავდის“** 28 აპრილის ნომერში ამ ახალი სპექტაკლის გამო დაბეჭდილია **ე. ᲮᲝᲚᲝᲠᲗᲘᲜᲘᲡ** რეცენზია — **„ᲑᲠᲔᲮᲢᲘ ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ“.**

რეცენზენტი წერს:

„ეს პრემიერა ერთგვარი დებიუტი იყო ერთდროულად როგორც თეატრისათვის, პიესისა და რეჟისორისათვის, ისე მთავარი როლის შემსრულებლისათვის.

მართლაც, ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრმა პირველად მიმართა ბრეხტის დრამატურგიას. პიესა „რა ის ჯარისკაცი, რა ესა“ პირველად ნახა საბჭოთა მაყურებელმა. ამ სპექტაკლით დადგა ლენინური კომკავშირის სცენაზე პირველად გამოვიდა ცხობილი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი და, ბოლოს, გელი გეგის როლი ლევ დურვის პირველი ნამუშევარია ამ თეატრში.

ბერტოლდ ბრეხტმა ეს პიესა ძველად, 40 წლის წინათ დაწერა. პიესას მაშინ ქვესათაური აქვნდა: „მტვერითად გელი გეგის გარდასახვა სამხედრო ბანაკ კილოკოში 1925 წელს“. მაგრამ ვაი რომ 1965 წელს პიესა არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე 1925 წელს. „ატყდა ომი, რომელიც დიდიხანია გათავლისწინებული იყო... ჯარი ჩრდილოეთი საზღვრების მიმართულებით მიიწევს“, — გესმით საღამოთი სცენიდან, დილით კი გაზეთებში კითხულობთ, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს ჩრდილოეთი ვიეტნამი. გუშინ — კილოკოში, დღეს — საიგონში, ხოლო ხვალ? ბრეხტის მიერ მოყოლილი იგავი, თუ როგორ გადაიქცა ერთი კაცი სრულიად მეორე კაცად, ჭკუის სასწავლებელი იქნება, სანამ კაპიტალის, ყველაფრისა და ძალმომრეობის სამყაროში მოქმედებს პიროვნების გაუკაცურების უღმობელი კანონი...

დუროვი ოსტატურად გვიჩვენებს თავის გმირს ერობაშად — ისეთსაც, როგორადაც თავი აქეს წარმოდგენილი, და ისეთსაც, როგორიც ის ნამდვილად არის.

მსახიობს ამ საქმეში შესანიშნავად ეხმარება რეჟისორი.

რად ღირს, მაგალითად, ასეთი მიზანსცენა. გელი გეგის გარს შემოხვევია სამი ჯარისკაცი. ისინი ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, თავიანთი მიზნისათვის გამოიყენონ ეს კაცი, რომელსაც უნარი არ შესწევს თქვას „არა“. ის თვითონ კი ფიქრობს, ჩემი ნება, როგორც მინდა ისე მოვიქცევი — თუ მინდა წავკვები, თუ მინდა არაო. მაგრამ აი ერთი ჯარისკაცი ხელს კბრავს და მეორეს მიაგდებს, მეორე — მესამეს. ჩვენი გმირი ბურთივით ტრიალებს წრეში, თანაც არ უნდა, რომ დაბნეულობა შეიმჩნიოს, საცოდავად იღრეკება, ცდილობს დაარწმუნოს თავისი ახალი ნაცნობები, უწინარეს ყოვლისა კი თავისი თავი, რომ ვერაფერ ცუდს ვერა ხედავს ამ თამაშში — ცოტა ვიხუნტრუტოთ, მერე რა მოხდაო. ის ჯარისკაცები კი ამ მეგობრული ხუმრობით ჩაგონებენ, ჩვენ ეგრე ადვილად ნუ გვეხუმრებიო.

ამ სცენის მეტისმეტად ზუსტ აზრში იბადება სიმბოლო: აქ ადამიანი საკუთარი თავის პატრონი არ არის, ის სათამაშოა სხვის ხელში...

გელი გეგი, რომელიც ჯარისკაც ჯერაი ჯიპად გადაიქცა, ნამდვილად საშინი და საზიზღარია... მან გონება დაკარგა, დაბორიალებს სცენაზე, ყველას ეცემრის და კონდახს ურტყამს. მაგრამ აი ოთხი პალი მისთვანთნიერებელ ბადეში ვაახვევეს. ის წაიქცა, თვალები აღაპყრო, თვალებში კი სიკვდილის შიში და მომაკვდინებელი ნაღველი ჩასადგურებია — ის ხომ ერთ დროს ადამიანი იყო...

ასეთი ფინალი გათვალისწინებული არ ჰქონია ბრეხტს, მაგრამ, ვფიქრობ, ავტორობაზე თვითონ ბრეხტიც არ იტყოდა უარს. ჩემი აზრით, ბერტოლდ ბრეხტს ნამდვილად მოეწონებოდა ეს სპექტაკლი, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა დადგა ასე ტემპერამენტულად და ვამომსახვლად. რაც მთავარია, რეჟისორს კარგად ესმის ის, რისთვისაც ეს პიესა დაიწერა და რატომაც დაიდგა ორმოცი წლის შემდეგ.

...ამ წარმატებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრისათვის.“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფართოდ არის გაშლილი სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობა. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვანდა სიდამონიძე ასრულებს სენ-სანსის „მომაკვდავ გედს“. — ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

...ᲐᲚ. ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის სახელმწიფო თეატრში ჟარეულ ... ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ... ᲓᲐᲓᲒᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ თეატრის თეატრალური ... ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲥᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ (მხატვარი ე. ხარაზოვი, მუსიკა კომპოზიტორ მერი დავითაშვილისა).

◆ **ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ** სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მომდინარე წელს სამი ახალი დადგმით წარადგა მაყურებლის წინაშე. ამ დღეებში მორიგ პრემიერად წარმოდგენილ იქნა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალ. გოგნაძემ, მხატვრულად გააფორმა შ. ადამიამ.

Გ. ᲛᲣᲗᲐᲕᲜᲐᲫᲔ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲔᲚᲔᲠᲘ — ᲕᲘ. ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ 4:1

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის მეხუთე პარტია ჭადრაკში **ე. გელერსა** და **ვ. სმისლოვს** შორის, ე. გელერმა აღმავლობით ჩაატარა ბრძოლა და 31-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო.

ამრიგად, ხუთი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 4:1 **ე. გელერის** სასარგებლოდ.

ᲡᲐᲛᲒᲒᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲮᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ძიუ-დოისტთა ნაკრებმა გუნდმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. ჩვენმა ათლეტებმა მადრიდის ჩემპიონატის ნახევარფინალში დაამარცხეს საფრანგეთის ძლიერი გუნდი — 4:0, ფინალში, ისე როგორც შარშან, შეხვდნენ ჰოლანდიის გუნდს და მოუგეს ანგარიშით 4:1.

საბჭოთა ძიუ-დოისტები წარმატებით გამოდიან აგრეთვე პირად პირველობაში. ღია კლასში, სადაც პროფესიონალებთან ერთად მოუვარულებსაც შეუძლიათ ასპარეზობაში მონაწილეობა, მოსკოველებმა **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲚᲘᲣᲨᲘᲜᲛᲐ** და **ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲘᲣᲓᲘᲜᲛᲐ**, ლვოველმა **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲣᲨᲢᲘᲨᲛᲐ** და თბილისელმა **ᲨᲐᲠᲐᲜᲝᲖ ᲩᲘᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔᲛ** ოქროს მედლები მოიპოვეს თავიანთ წონითს კატეგორიებში. (საკდესი).

ᲢᲣᲠᲜᲔ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ კალათბურთელ ვაკთა ნაკრები გუნდი გაგრძელებს ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მესამე მატჩი ჩვენს გუნდს ქონდა სან-ფრანცისკოში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ნაკრებთან. საბჭოთა კალათბურთელებმა ვერ აიწყეს თამაში, შორიდან ტყორცნებიც ვერ ხვდებოდა მიზანს და წაგეს ტაიმი 24:38. მეორე ნახევარში მასპინძლებმა ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 72:53.

ყველაზე მეტი ქულა (15) საბჭოთა ნაკრებს მოუტანა კიეველმა **ა. ᲕᲐᲚᲢᲘᲜᲘᲡ.**

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ბათუმში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში, თამაშობდნენ სტავროპოლისა და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, გაიმარჯვეს ბათუმის დინამოელებმა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲮᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი გუშინ მოსკოვში შეხვდა სსრ კავშირის ნაკრებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 64:39.

დღეს სტუმრებს მოსკოვში პაექრობა ექნებათ ახალგაზრდულ ნაკრებთან.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ სპორტული კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. ᲐᲕᲔᲚᲐᲜᲟᲛᲐ ამას წინათ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მის გუნდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მესამედ მოიპოვოს მსოფლიოს ჩემპიონობა ფეხბურთში. ასეთ შემთხვევაში ბრაზილიელები სამუდამოდ დაეუფლებიან „ჟიულ რიმეს ოქროს თასს“, ფიფა კი იძულებული იქნება მსოფლიოს ჩემპიონობის შემდგომ გათამაშებაში სხვა ახალი ჯიდო დააწესოს.

მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადების უმნიშვნელოვანეს ეტაპად აველანჟს მიაჩნია ნაკრების მომავალი ტურნე ევროპაში. აქ ბრაზილიელები რვა მატჩს გამართავენ. მთავარი მიზანია ნაკრების ძირითადი შემადგენლობის დადგენა.

ევროპაში გამგზავრების წინ ბრაზილიაში ეწყობა „ოთხი ნაკრების ტურნირი“. მასპინძლების გარდა, აქ გამოვლენ არგენტინელები და ბელგიელები. მეოთხე მონაწილე ჯერ ცხობილი არ არის. უნგრელებმა მიწვევა მიიღეს ბრაზილიიდან, მაგრამ ამ დათანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ ამ ტურნირში, რომელიც 2-9 ივნისს უნდა გაიმართოს.

ევროპელი (და აფრიკელი) მეტოქეებიდან ბრაზილიელები ჯერჯერობით მხოლოდ სამს შეუთანხმდნენ. 20 ივნისს ისინი იითამაშებენ ჩასაბლანჩაში მაროკოს ნაკრებთან, 24 ივნისს პორტუგალიელებთან და 30 ივნისს გეტაბორგში შვედებთან. გარდა ამისა, წარმოეს მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის, ბელგიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა ხელმძღვანელობასთან. ბრაზილია-საბჭოთა კავშირის გუნდების შეხვედრის წინასწარი თარიღია 4 ივლისი.

მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადებასთან დაკავშირებით ბრაზილიის ბრაზილიის მთავარმა მწვრთნელმა ᲕᲘᲜᲘᲡᲘᲣᲢᲘ ᲨᲘᲚᲚᲐᲛ გადაწყვიტა უცხოეთიდან გამოიწვიოს ის მოთამაშეები, რომლებიც მისი აზრით გუნდს გაისად ინგლისში გამოადგებიან. ასეთად იგი თვლის „ინტერნაციონალეს“ მარჯვენა გარემარბ ჟაირს, მილანის ცენტრალურ თავდამსხმელ ამარილდოსა და რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსეს“ ყოფილ ბომბარდირ ვალდოს, რომელიც ახლა ესპანეთის „ვალენსიაში“ თამაშობს.

ᲤᲔᲚᲝᲚᲐ ᲐᲪᲮᲐᲕᲔᲑᲡ, რომ ნაკრების ბრაზილიაში მყოფ კანდიდატთაგან მხოლოდ პელეს შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ აუცილებლად გაემგზავრება ინგლისში, დანარჩენებს, თვითონ საუცხოო ფორმაში მყოფ გარინჩასაც კი, მოუხდებათ ჯერ კიდევ ბევრი ევარჯიშონ, რათა მწვრთნელს თავიანთი ძალა დაუმტკიცონ. თვით ფელოლა აპირებს მონაცხოს თავისთვის ვინმე შედარებით ახალგაზრდა თანაშემწე. ასეთად მას მიაჩნია დიდი ან დინო.

ამას წინათ ბრაზილიაში გამოკვეყნდა ნაკრების მომზადების პერსპექტიული გეგმა. 1966 წლის 10 ივნისს ეროვნული ნაკრები ჩამოვა ევროპაში, იგი შეკრებას გაიკეთებს შვეიცარიაში ქ. ავიდადბერგის ახლოს, ეს ადგილი მოიწონა ბრაზილიელთა გუნდის ექიმმა ვესლინგმა ევროპაში წლევანდელი მოგზაურობის დროს. გესლინგს მიაჩნია, რომ აქ შეიძლება კარგი აკლიმატიზაცია მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რადგან შვეიცარის სამხრეთში ამ პერიოდში ისეთივე ტემპერატურაა, როგორიც ინგლისში.

ინგლისში გამგზავრების წინ ბრაზილიელები აპირებენ ექვსი საწვრთნელი მატჩის გამართვას. შვეიცის სხვადასხვა გუნდებთან. განზრახულია „სპორინგ-მატჩების“ მოწყობა შვეიცარიაა და დანიის ეროვნულ ნაკრებებთანაც. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არ მოხვდებიან.

4 ივლისს ბრაზილიელები ქ. მანჩესტერში ჩაფრინდებიან. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მათ განზრახული აქვთ უკანასკნელი „სპარინგ-მატჩი“ გამართონ რომელიმე ცნობილ პროფესიულ კლუბთან — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ან „ლივერპულთან“.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პატრეული პროდუქტების მთავარი სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პატრეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამავ. მიხეილ ბახვას-ძე ნორსია დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პატრეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად. (საკდესი).

28 Ა�პᲠᲘᲚᲘ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქუჩა, 14) **ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.** პლენუმი განიხილავს საკითხს „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებანი და რესპუბლიკის ჟურნალისტთა ამოცანები“.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲡᲘ?

როგორი ამინდია მოსალოდნელი მაისში?

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ანტიციკლონებმა არა მარტო მთელი ტროპოსფერო მოიცვა საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე, არამედ მაღლაც გაეშურა და 30 კილომეტრ სიმაღლეს მიაღწია. თავდაპირველად, როცა იგი საკმაოდ ცივი იყო, ცენტრალურ ოლქებში დამით მცირე ყინვები აღინიშნებოდა. შემდეგ ჰაერი თბებოდა და ტემპერატურამ დღისით 15 გრადუს სითბომდე აიწია.

შავ ზღვაზე, სადაც მიაღწია ციკლონმა, წნევის დიდი სხვაობა წარმოიშვა. ამან გამოიწვია შტორმები და ქვიშიანი ქარიშხლები. კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში მათ გამო მკვეთრად შემცირდა ხილვადობა.

საშუალო-თვიური ტემპერატურა იქნება დაახლოებით 12 გრადუსი ნულს ზევით, ნალექები — ნორმის ფარგლებში. ცივი იქნება პირველი ხუთდღიური, შესაძლოა მცირე ყინვები ღამდამობით. სამაგიეროდ დათბება თვის მეორე ნახევარში — ტემპერატურა ნულს ზევით 20 გრადუსს მიაღწევს და ელჩეკი გადაივლის ხოლმე.

უკრაინაში, მოლდავეთსა და ყირიმის ველებში საშუალო-თვიური ტემპერატურა დაახლოებით ნორმალური იქნება — 15 გრადუსამდე სითბო, დროგამოშვებით მცირე წვიმები. სამაგიეროდ მეორე ნახევარში ტემპერატურა პლუს 28 გრადუსამდე აიწევს. საშუალო ტემპერატურა ყირიმის სამხრეთ ნაპირზე და კავკასიონს შავი ზღვის სანაპიროზე იქნება დაახლოებით 17 გრადუსი, მაისის მეორე ნახევარში—29 გრადუსამდე სითბო. თვის დამდეგს და დამლევს მოსალოდნელია ელჩეკი.

Ა. ᲜᲘᲜᲘᲪᲙᲘᲡᲙᲘ.

ᲡᲐᲢᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

ᲖᲓᲔᲜᲔᲯᲐ ᲘᲠᲝᲢᲙᲐ

ᲩᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ გაკენოვას ძალიან უყვარდა თავისი სამი ვაჟიშვილი, თუმცა მთლად აშკარად არ გამოთქვამდა ხოლმე ამ გრძნობას. სამივე ფეხბურთს თამაშობდა ადგილობრივ საკლუბო გუნდში და ყოველ კვირაადღეს დალურჯებული, მაგრამ გამარჯვებული ბრუნდებოდნენ დედასთან. მართალია, ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ გაკენოვას თავის სიცოცხლეში ფეხბურთის მატჩი არ ენახა, მაგრამ შვილების მზარდი პოპულარობა ეამაყებოდა მის დედობრივ გულს. კვირაობით ჩამოჯდებოდა ხოლმე სახლის წინ მერხზე და თავი ისე ეჭირა, თითქოს წიგნს კითხულობდა. სინამდვილეში კი იგი სტადიონიდან დაბრუნებულ პირველ მაყურებლებს უცდიდა. მათ მოჰკონდათ ამბავი, თუ რა შესანიშნავად თამაშობდნენ მისი ვაუები, ხოლო როდესაც თვით ფეხბურთელები შხაპის შემდეგ თმადასველებულნი სიცილით მოირბენდნენ ხოლმე და იძახდნენ: „ოთხით ნოლი, დედიკო!“ თან ცდილობდნენ სამივე ერთად გადახვეოდა დედას.

— მომეშვით, თქვე ყაჩაღებო! — გაურბოდა ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜი გაკენოვა,—არ გასრისოთ, დათვებო. მოხუცი დედა!

მაგრამ ერთ დღეს ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ გაკენოვას უსიამოვნო ამბავი მოუტანეს.

— ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ გაკენოვა, კი არ შეგეშინდეთ და თქვენს იარდას ფეხი მოსტეხეს. იგი თითქმის კართან იყო მისული. მცველმა მოუნდომა ბურთის წართმევა და... აი... იარდა საავადმყოფოში წაიყვანეს.

ᲙᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ გაკენოვამ ჩუმად ამოიკვნესა და ჰკითხა:

— მერე... გოლი გაიტანა?!



ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲓᲐ...

ნახ. ე. ამბოკაძისა.

ᲡᲮᲐᲠᲢᲣᲚᲐ

△ ᲘᲝᲒᲚᲘᲐᲜᲘ კაცი წყალში იხრჩობოდა, გადაარჩინეს, და... პირში ოქროს თევზი გასჩროდა...

△ მმ არ შეიძლია ვჭამო ეს სისაძაგლე!.. მომიყვანეთ დირექტორი!... — იყვირა რესტორანში შესულმა კაცმა.

— მაგას არც დირექტორი ჭამს ბატონო!...

Რ. ᲠᲣᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲜᲐᲙᲕᲔᲡᲔᲑᲘ

☐ ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲛᲐ თქვა: სხვაზე გულმოსული მამაკაცები ცეცხლს მე მიკიდებენო.

☐ ᲮᲠᲩᲐᲚᲛᲐ თქვა: კალოზე გამანიავეს, საწყობში დამანიავესო.

☐ ᲗᲔᲗᲖᲛᲐ თქვა: ჩვენ თუ წყალში ვცხოვრობთ და პირი იმიტომ გვაქვს წყლით სავსე, რევიზორები რაღამ დაადუმაო...

☐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ მოწინააღმდეგე ვერ მოატყუა და... გამყიდველმა გულზე ხელი დაიკრა...

ᲤᲐ. ᲣᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲮᲚᲐᲠᲗᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ რავენას ხელოვნების მუზეუმის დირექცია იძულებული გახდა ტულიო ლომბარდის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქანდაკების „ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲘ ᲠᲐᲜᲓᲘᲜᲘᲡ“ გარშემო ეკლი